საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

N 412/01-15
04/08/2016

ქალბატონო მაია,

თქვენი 2016 წლის 01 აგვისტოს #328 წერილით თქვენ მოითხოვეთ აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისგან საჯარო ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია აჭარაში რეგისტრირებული განთავსების ობიექტების, ასევე, საწოლი ადგილების შესახებ. რა მეთოდოლოგიას და წყაროებს ეფუძნება სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც დეპარტამენტი ავრცელებს.
- ინფორმაცია საერთაშორისო მიმართულებით განხორციელებული ფრენების შესახებ (ფრენების ზრდის ტენდენციის დასაბუთების ჩათვლით) აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სტატისტიკური წყაროების შესახებ.

გაცნობებთ, რომ აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა რეგისტრირებული განთავსების ობიექტების, ასევე, საწოლი ადგილების შესახებ სტატისტიკური კვლევა ჩაატარა სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე (იხილეთ სატენდერო განაცხადის #SPA150019962, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 25 აგვისტოს #244 ხელშეკრულება). შემსრულებელმა კომპანია შპს „მარკეთ ინთელიჯენს კაუკასუს“ (იგივე შპს „თიენეს“) კვლევისთვის გამოიყენა აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ წინასწარ შექმნილი კვლევის ინსტრუმენტი (იხილეთ ტურისტთა განთავსების ობიექტის კვლევის კითხვარი).

2015 წლის 03 ნოემბერს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ჩაიბარა შპს „მარკეთ ინთელიჯენს კაუკასუს“ (იგივე შპს „თიენეს“) მიერ შესრულებული სამუშაო 2015 წლის 25 აგვისტოს #244 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, შესაბამისად, სწორად ამ კომპანიის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების და ჩვენს მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე არის მიღებული ინფორმაცია რეგისტრირებული განთავსების ობიექტებისა და საწოლი ადგილების შესახებ.

ამავდროულად, განგიმარტავთ, რომ აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ბაზარზე არსებული ობიექტების ყოველწლიურ აღწერას, შესაბამისად 2016 წლის წლის აღწერა მიმდინარეობს და მონაცემი რამოდენიმე თვეში განახლდება.

ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.. №84/86
ს.კ. 245427809
ტელ: (0422)274702, 274719, ფაქსი: 274706
Email info@gobatumi.com

რაც შეეხება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში დაგეგმილი ფრენების შესახებ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ადმინისტრაციისაგან რეგულარულად იღებს ინფორმაციას ბათუმის მიმართულებით დაგეგმილი ფრენების შესახებ, რომლის საფუძველზე აწარმოებს კვლევას ფრენების ზრდის ან/და შემცირების ტენდენციების შესახებ. წინამდებარე განცხადებასთან ერთად თქვენ გეგზავნებათ თქვენს მიერ მოთხოვნილი და აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარატმენტის ხელთ არსებული შესაბამისი საჯარო ინფორმაციის ასლები, კერძოდ:

- 2015 წლის 25 აგვისტოს #244 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შესაბამისი დანართით - 07 (შვიდ) ფურცლად;
- ტურისტთა განთავსების ობიექტის კვლევის კითხვარი - 19 (ცხრამეტ) ფურცლად;
- 2015 წლის 03 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტი - 02 (ორ) ფურცლად;
  სულ: 28 (ოცდარვა) ფურცლად;

მამია ბერძენიშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარე